Action funded by the EUROPEAN UNION

MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

საქართველოში წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის (IWRM) შესახებ ეროვნული პოლიტიკის დიალოგის (NPD) საკოორდინაციო კომიტეტის მე-10 სხდომა

თარიღი:	ადგილი:	დრო:
17 იანვარი, 2024წ.	სასტუმრო უინდემ გრანდ თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქ. #3, თბილისი, საქართველო	09:30-18:00

შეხვედრის ბმული:
https://theuniversalconsulting-ge.zoom.us/j/87603896351\
შეხვედრის კოდი: 876 0389 6351

დღის წესრიგი

დრო	საკითხი	გამომსვლელი
09^{30}-10^{00}	რეგისტრაცია და მისასალმებელი ყავა	
10^{00}-10^{30}	**სესია 1. გახსნითი და მისასალმებელი სიტყვები** • შესავალი სიტყვები • დღის წესრიგის დამტკიცება	მოდერატორი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - ქ-ნი მაია ბითაძე, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე (5 წთ) - ქ-ნი ნინო თანდილაშვილი, მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) (5 წთ) - ქ-ნი საბინე მახლი, გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში (5 წთ) - ბ-ნი ნიკოლას სენდეროვიჩი, ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელი (5 წთ)

დრო	საკითხი	გამომსვლელი
		- ბ-ნი ალექსანდრე ზინკე, „ევროკავშირი გარემოსთვის“ წყლის რესურსების და გარემოსდაცვითი მონაცემების პროგრამა (5 წთ)
10^{30}-11^{30}	**სესია 2. პროგრესი და პრიორიტეტები: ევროკავშირის კარგი პრაქტიკის დანერგვა და წყლის სექტორის რეფორმის განხორციელება** პოლიტიკის განხილვა მრგვალ მაგიდასთან მაღალი დონეზე მაღალი დონის პანელზე მხარეები მიმოიხილავენ, თუ როგორი პროგრესით მიმდინარეობს წყლის პოლიტიკის რეფორმები, ასევე სამომავლო პრიორიტეტებს გააანალიზებენ ევროკავშირთან დაახლოების გზაზე, რაშიც შედის „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის განხორციელებისთვის მზადება, მდგრადი განვითარების 6.5.1 და 6.5.2 მიზნების შესახებ ანგარიშგება და მიღწევები, „წყლის კონვენციით“ გათვალისწინებული დებულებები. ასევე გათვალისწინებულია სამინისტროების, კერძო სექტორის, ევროკომისიის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლების და საქართველოში წყლის სექტორში მიმდინარე პროექტების განმახორციელებელი პირების ჩართულობაც. კითხვა-პასუხი და დისკუსია	მოდერატორი: გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE) და სამეზობლოს და გაფართოების საკითხებზე მოლაპარაკებების გენერალური დირექტორატი (DG NEAR) (დასადასტურებელია) - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (10 წთ) - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (5 წთ) - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (5 წთ) - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (5 წთ) - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (5 წთ) - ევროკომისია (5 წთ) დამხმარე დოკუმენტები დისკუსიისთვის: ევროკავშირის წყალთან დაკავშირებული დირექტივების განხორციელების მიმოხილვა
11^{30}- 12^{00}	ყავის შესვენება	

დრო	საკითხი	გამომსვლელი
12^{00}-13^{15}	**სესია 3. მდინარის აუზის მართვის მიმდინარეობა** სესიაზე განხილული იქნება შემდეგ საკითხები: • მდინარის აუზის მართვის გეგმების შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება • პროგრესი წყლის ანგარიშებთან დაკავშირებით • წყლის დაბინძურება - განახლებული ინფორმაცია მიმდინარე პროგრესის და პრიორიტეტების შესახებ • ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა ხრამი-დებედას და ალაზნის მდინარეების აუზებში • სამუშაოების მიმდინარეობა შემდეგ საკითხებში: მიწის საფარის რუკების შედგენა, ნარჩენები, ჰაერის ხარისხი და ინდიკატორები SOER-ის ანგარიშისთვის. პოლიტიკის სახელმძღვანელო კითხვები: • როგორ უნდა უზრუნველვყოთ მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების (RBMPs) და ღონისძიებების პროგრამების განხორციელება, რათა მომზადებული ვიყოთ „წყლის შესახებ კანონის“ ამოქმედებისთვის? • როგორ შეიძლება გაძლიერდეს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა წყლის სფეროში? კითხვა-პასუხი და დისკუსია	მოდერატორი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - ევროკავშირი გარემოსთვის - წყლის რესურსების და გარემოსდაცვითი მონაცემების პროგრამა (15 წთ) - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (10 წთ) - გარემოს ეროვნული სააგენტო (7 წთ)
13^{15}-14^{15}	სადილი	

დრო	საკითხი	გამომსვლელი
14^{15}-15^{30}	**სესია 4. წყლის და ჯანმრთელობის დღის წესრიგი** სესიაზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები: • პროტოკოლი წყლისა და ჯანმრთელობის შესახებ - მიერთებით მოტანილი სარგებელი და მის ფარგლებში მუშაობა • შეფასება, თუ რამდენად თანაბარია წვდომა წყალსა და სანიტარიაზე, ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად - გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) თვითშეფასების მეთოდოლოგიის გაცნობა • ჩამდინარე წყლებზე დაფუძნებული ეპიდემიოლოგიური მონიტორინგი • სამომავლო პროექტი „წყალი და ჯანმრთელობა საქართველოში“ პოლიტიკის სახელმძღვანელო კითხვები: • რა გამოწვევები არსებობს ამჟამად წყალსა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და როგორ უნდა გადავჭრათ ისინი? • რა სარგებელი და გამოწვევები მოჰყვება წყლისა და ჯანმრთელობის პროტოკოლზე მიერთებას და რა არის შემდეგი ნაბიჯები? კითხვა-პასუხი და დისკუსია	მოდერატორი: UNECE - ევროკავშირი გარემოსთვის - წყლის რესურსების და გარემოსდაცვითი მონაცემების პროგრამა (UNECE, UBA) (20 წთ) - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (8 წთ) - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (8 წთ) - „ექსპერტიზა ფრანსი“, AFD-ს ჯგუფი (5 წთ)
15^{30}-16^{00}	ყავის შესვენება	
16^{00}-17^{15}	**სესია 5. წყლის მართვა მდგრადი სოფლის მეურნეობისთვის** სესიაზე განხილული იქნება მიმდინარე ინიციატივების კოორდინაცია, შემდეგ თემებზე: • განვითარება სოფლის მეურნეობის სექტორში • თანამედროვე საირიგაციო პრაქტიკების და წყლის დამზოგავი სხვა ტექნოლოგიების ინტეგრაცია სოფლის მეურნეობაში • სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად წყლის დაბინძურების საკითხზე მუშაობა • საირიგაციო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მხრივ არსებული პროგრესი, პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხების ჩათვლით პოლიტიკის სახელმძღვანელო კითხვები: • როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული წყლისა და სოფლის მეურნეობის სექტორები, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების გათვალისწინებით?	მოდერატორი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (8 წთ) - FAO (8 წთ) - ევროკავშირი გარემოსთვის - წყლის რესურსების და გარემოსდაცვითი მონაცემების პროგრამა (OECD) (5 წთ) - ADB (5 წთ) - NIRAS (5 წთ)

დრო	საკითხი	გამომსვლელი
	• რა არის პრიორიტეტული საჭიროებები სამომავლოდ? • როგორ შეიძლება სექტორებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება? კითხვა-პასუხი და დისკუსია	
17^{15}-18^{00}	**სესია 6. დასკვნითი სესია:** • შეხვედრის შეჯამება • გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები • უკუკავშირის კითხვარი ეროვნული პოლიტიკის დიალოგის (NPD) და შემდგომი ნაბიჯების შესახებ • 2024 წ. 18 იანვარის სემინარების გაცნობითი მიმოხილვა	- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - „ევროკავშირი გარემოსთვის“ წყლის რესურსების და გარემოსდაცვითი მონაცემების პროგრამა
18^{00}-19^{30}	კოქტეილი	

ზოგადი მიმოხილვა

ეს არის საქართველოში წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის შესახებ ეროვნული პოლიტიკის დიალოგის (NPD) საკოორდინაციო კომიტეტის რიგით მე-10 შეხვედრა. ეროვნული პოლიტიკის დიალოგი (NPD) ხელს უწყობს პოლიტიკურ დისკუსიებს, სადაც დაინტერესებული მხარეები ხვდებიან ერთმანეთს წყლის პოლიტიკის რეფორმების წარმატებით გატარების მიზნით. ეროვნული პოლიტიკის დიალოგები (NPD) განისაზღვრება მასპინძელი ქვეყნების მოთხოვნით და, როგორც წესი, მათ თავმჯდომარეობას უწევენ შესაბამისი სამთავრობო უწყებების ხელმძღვანელები. შეხვედრებში სხვადასხვა დაინტერესებული მხარე მონაწილეობს, როგორიცაა სამინისტროები და სამთავრობო უწყებები და ინსტიტუტები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, საქმიანი წრეები, საპარლამენტო ორგანოები, აკადემიური წრეები. მონაწილეთა შორის, როგორც წესი, არიან საერთაშორისო ორგანიზაციები და ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ თითოეულ ქვეყანაში წყლის პოლიტიკის რეფორმების გატარებაში. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ევროკავშირი გარემოსთვის“ - წყლის რესურსების და გარემოსდაცვითი მონაცემების პროგრამის ფარგლებში, ეროვნულ პოლიტიკურ დიალოგებს (NPD) აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთი ქვეყანა უჭერს მხარს, ხოლო ფასილიტაციას გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) უზრუნველყოფს.

შეხვედრის მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და მაჩვენებლები:

- განახლებული ინფორმაციის მიწოდება წყლის და წყლის მომხმარებელ სხვა სექტორებში განვითარებული მოვლენების შესახებ.
- ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში საქართველოში ევროკავშირის წყლის სექტორთან დაკავშირებული დირექტივების და წყლის კონვენციის საგზაო რუკის განხორციელების შესახებ განახლებული ინფორმაციის მიწოდება.
- წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სფეროში არსებული გამოწვევების განხილვა, გადაწყვეტების და შემდგომი ნაბიჯების მოძიება მათი გადაჭრის მიზნით.

- საქართველოში „ევროკავშირი გარემოსთვის“ – წყლის რესურსების და გარემოსდაცვითი მონაცემების პროგრამის (EU4Enviornmnet – Water Resources and Environmental Data Programme) განხორციელების პროგრესის და შემდეგი ნაბიჯების განხილვა და ეროვნულ დონეზე დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღება.
- საქართველოში წყლის სექტორში მოქმედი დონორების საქმიანობის განხილვა და პარტნიორ ორგანიზაციებთან საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

მონაწილეები

შეხვედრას 50-ზე მეტი მონაწილე დაესწრება, რომლებიც საქართველოში წყლის რესურსების მართვის საკითხებით დაინტერესებულ სამინისტროებს, სააგენტოებს, დონორებსა და საერთაშორისო პროექტებს წარმოადგენენ.

ევროკავშირი გარემოსთვის (EU4Environment) - წყლის რესურსების და გარემოსდაცვითი მონაცემების პროგრამის შესახებ

აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას და მათი მწვანე ტრანსფორმაციის შესაძლებლობას ევროპის მწვანე შეთანხმებისა და მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესაბამისად. პროგრამის აქტივობები ორი კონკრეტული მიზნის ირგვლივ არის დაჯგუფებული: 1) წყლის რესურსების უფრო მდგრადი გამოყენების მხარდაჭერა და 2) სანდო გარემოსდაცვითი მონაცემების გამოყენების გაუმჯობესება და მათი ხელმისაწვდომობის ამაღლება პოლიტიკოსებისა და მოქალაქეებისთვის. ეს უზრუნველყოფს საერთო გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემის II ფაზის და ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლუსის სტაბილურობას აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამებისთვის.

პროგრამას ხუთი პარტნიორი ორგანიზაცია ახორციელებს: ავსტრიის გარემოს დაცვის სააგენტო (UBA), ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA), წყლის საერთაშორისო ოფისი (OiEau) (საფრანგეთი), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE). პროგრამა ძირითადად ფინანსდება ევროკავშირის მიერ, თანადამფინანსებელია ავსტრიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო და საფრანგეთის წყლის რესურსების სააგენტო „Artois-Picardie“, ხოლო ბიუჯეტი 12.75 მილიონ ევროს შეადგენს (12 მილიონი ევრო - ევროკავშირის წვლილი). განხორციელების პერიოდია 2021-2024 წლები.